ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3360408

ნომერი: AR1513177

თარიღი : 11.06.2017

გაცემის თარიღი : 03.07.2017

გაცნობის თარიღი : 03.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვალენტინ თოფურიძის ქუჩის II შესახვევი, N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვალენტინ თოფურიძის , შესახვევი II , N1-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მურად კანთელაძე პ/ნ 01025010386
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 7"ა" ბ. 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 ივნისს NAR1513177 განცხადებით მომართა მურად კანთელაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის2015 წლის8

სექტემბრის№2152592 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქუჩისII შესახვევში, N1-ში(საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.159; ფართობი: 800 კვ.მ.) არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს, შეცვლილი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებას(მიწის ნაკვეთების გაერთიანების გამო) და ასევე განაშენიანების რეგულირების ხაზის ადგილმონაცვლეობას, რაც სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია. გარდა ამისა, საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. შესაბამისად, ხსენებულ პირობებში შენიშვნის სახით უნდა დაფიქსირდეს: „პროექტის შეთანხმების სტადიაზე განხორციელდეს ზემოხსენებული შეზღუდვის მოხსნა და წარმოდგენილი იქნეს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს: საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.170; განცხადების ნომერი: 882017274129; მომზადების თარიღი: 08/04/2017; ფართობი: 2570 კვ.მ.;)
2. განაშენიანების რეგულირების ხაზი განისაზღვროს დანართის შესაბამისად;
3. შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: „პროექტის შეთანხმების სტადიაზე განხორციელდეს ზემოხსენებული შეზღუდვის მოხსნა და წარმოდგენილი იქნეს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;“;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.